

ხალხთან ხიდიდან

[...]

ის რაც მოვახერხე რაღაცნაირად ასე, შეიძლება ცოტა უკეთაღ. ქალები განუწყვეტლივ წვავენ გაზეთებს, ზოგიერთი ხელსაც არ კიდებს, კვამლი, მეტს იღებენ, მისი სახე ეკრანზე დიდდება, წინ იყურება ცოტა ხნით საკუთარ ცხვირს აკვირდება. ერთი ნესტო. ერთი ნესტო. შემდეგ ხელი. იხოცავს. აგრძელებს

ისევ გწყურია. ძალიან. უცებ.
კვლავ სვამ.
მიწას მოწყურდი. ძალიან.
ცოტა ვაი

ტელევიზორი, მკაფიო ხმა. თითქოს ოდნავ ჩქარობსო.

დრო გავიდა. ვზივარ, შენ გვერდით.
უსმინე, როგორ სუნთქავს.
თეთრი ენა, ღია პირი
და ჭრილობა ჯერ არ გამშრალა
კარგად. ავლოკე. მისი თავი.
ღერიღერ ვითვლი. მერე იღვიძებს
ჩემი თავი უჭირავს, მკოცნის, მერე კი ისევ.
ვითვლი. თვალებს ვხუჭავ და
ვახელ. ისევ და ისევ იგივეა.
და თავიდან, ისევ იგივე. მერე კი კვლავ აქ.
ყველაფერი ისევ იგივე, როგორც უწინ, და არ იცი ეს მერამდენედ.

დრო გავიდა.
სახლის გარეთ ვართ, კარში ვდგავართ.

ღია იყო.

ავედით და მათთან ერთად, გვერდით დავსხედით.

ბებრები იყვნენ.

ცეცხლის გარშემო ისხდნენ, გველოდნენ

და რომ შევედით, ფეხზე წამოდგნენ

მის გვერდით დავჯექ. ადგნენ

ყველანი შიგნით შევიდნენ

ერთადერთი ქალიღა დარჩა.

ხელები კაცის მხრებზე დაეწყო და

ტიროდა. ტიროდა და

არ ჩერდებოდა.

პირის მოკუმვაც კი არ შეეძლო.

ნერწვი სდიოდა, კაცს ეღვრებოდა.

სუნი დადგა. მანქანის ზეთი და რეზინი და კვამლი. ქორო. ტილოში გადახვეული ხის მორი, ასველებენ მასაც კასრში აგდებენ. ორი-სამი წიგნიც დახიეს. ყველანი ერთად, ქორო.

რა ხანია შიგნითა ხარ. თითქოს არასდროს გამოხვიდოდე.

გარეთ არ გვაწყობს. ვერაფერს ხედავ წვიმისაგან. რაც შენგან დარჩა,

ყველაფერი აქ არის.

ტალღა. გარედან შიგნით აღწევს. არ იცი ეს რა არის.

ნაცარს ურევ. სანახევროდ ჩამწვარი ტოტი, ზემოთ მიიწევს.

შენ შიგნით ზიხარ. მოიცა.

ცოტა მშვიდად. უსმინე. ეს რა არის. მოვიდნენ. ხედავ?

ისინი ერთად დასხდებიან. შენ სასმელსაც კი შესთავაზებ.

წელს კიდევ უფრო შორეული მხარიდან მოსულან. ყველანი ერთად დავსხდეთ.

ადექი, მოდი, გაიხედე ფანჯრიდან. გარეთ გაიხედე

აი, მოდიან, გზას შეხედე, უკვე საკმაოდ ბევრნი არიან

ქვემოთ, ცოტა უკან შეხედე, ხედავ რამდენი არიან?

გზის ბოლო სულ გადავსებულა. ცოტა მოიცა.

ხედავ, მოდიან. ტალღასავით, ნაპირისკენ
წამოსვლისას რომ იზვირთება. სავსეა. აი, იქ შეხედე. დიდი ჯოგი,
რომელიც მარჯვნივ-მარცხნივ აწყდება. თითოეული თავის კარს აღწევს
და სცნობს. მათ ტვინებში კი ჯერაც არსებობს რაღაც.
და შენ გინდოდა მათ საპოვნელად წასულიყავ.
თუმცა დაგასწრეს, მოდიან და შენ გპოულობენ.
კარი დატოვე ღია, რათა შემოვიდნენ.
უსმინე. კიბეზე ამოდის.
ნუ წამოდგები. აი, ამოდის.
ამოვიდა. ჰა, შემოვიდა.
ყველანი ერთად შემოვიდნენ.

ბერძნულიდან თარგმნა თათია მთვარელიძემ